






მე-4 კლასი

უპასუხეთ შეკითხვებს 1-7 ცხრილის მიხედვით.

გეგას სახლის დეკორის მაღაზია აქვს. ცხრილში თქვენ ხედავთ გეგას მაღაზიაში გაყიდული ნივთების რაოდენობას კვირის დღეების მიხედვით. თითოეული სურათი 1 ცალ ნივთს აღნიშნავს.

დღე	გაყიდული ნივთები
ორშაბათი	
სამშაბათი	
ოთხშაბათი	
ხუთშაბათი	
პარასკევი	

1. რომელ დღეს გაიყიდა ყველაზე მეტი ნივთი?

A. სამშაბათს

B. პარასკევს

C. ორშაბათს და პარასკევს

2. რამდენით აღმატება ყველაზე დიდი გაყიდული რაოდენობა ყველაზე მცირეს?

A. 2-ით B. 3-ით C. 4-ით

3. ოთხშაბათს რომ 2-ით ნაკლები ნივთი გაეყიდათ რამდენჯერ მეტი იქნებოდა სამშაბათს გაყიდულ ნივთთა რაოდენობა?

A. 2-ჯერ B. 3-ჯერ C. 4-ჯერ

4. სულ რამდენი განსხვავებული ტიპის ნივთი იყიდებოდა ამ დღეებში?

A. 4 B. 5 C. 20

5. რომელი ნივთი აღმოჩნდა ყველაზე პოპულარული მყიდველთა შორის ამ დღეებში?

A. სარკე B. საათი C. სანათი

6. ვიცით რომ სარკე 30 ლარი ღირს და ორშაბათს ამ ნივთებში 135 ლარი დაიხარჯა, რა ღირს საათი?

A. 5 ლარი B. 15 ლარი C. 25 ლარი

7. რა თანხა დაიხარჯა პარასკევს?

A. 115 ლარი B. 105 ლარი C. ვერ დავადგენთ

8. რამდენით მეტია $(2x^5)-4$, $2x(5-4)$ -ზე?

A. 6-ით B. 4-ით C. ტოლია

9. რომელი რიცხვის განახევრებით შეგვიძლია მივიღოთ ყველაზე დიდი ერთნიშნა რიცხვი (ციფრი) რომელიც 5-ზე გაიყოფა ?

A. 100 B. 5 C. 10

10. ცეკვის წრეზე 16 ვაჟია, შესაძლებელია რომ თითოეულ მათგანს სხვადასხვა თვეში ჰქონდეს დაბადების დღე?

A. არა

B. კი, ზოგჯერ

C. კი, ყოველთვის